უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№11 (30) 2013

თსუ-მ ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია დააწესა

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან 73-ე წლისთავზე თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ივანე ჯავახიშვილის შთამომავლებმა, სტუდენტებმა, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ივანე ჯავახიშვილის საფლავი გვირგვინით შეამკეს. ღონისძიებაზე თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის დაწესებაზე ისაუბრა: „სწორედ ამ დღეს, უნივერსიტეტში ლექციის კითხვის დროს, გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. დღეს მადლიერმა შთამომავლობამ მისი საფლავი გვირგვინით შევამკეთ. მინდა გავავრცელო ინფორმაცია იმ სერიოზული გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც უნივერსიტეტმა მიიღო და რომელიც კიდევ ერთხელ უკვდავყოფს ამ სასიქადულო მამულიშვილის სახელს: ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის უნივერსიტეტმა უცხოელი მეცნიერებისთვის დააწესა საერთაშორისო პრემია. გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილის დაბადების თვეს – აპრილში, ყოველწლიურად გაიმართება დიდი სამეცნიერო ფორუმი, რომელიც მის ხსოვნას მიეძღვნება“. ამ იდეას ივანე ჯავახიშვილის შთამომავალი გიორგი ჯავახიშვილიც გამოეხმაურა „უნივერსიტეტმა საინტერესო ინიციატივით აღნიშნა ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე – დაწესდა ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველოლოგიისადმი დაინტერესება გაიზრდება, ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის პოპულარიზაციას. ეს მიმართულება ყოველთვის ძლიერი იყო თსუ-ში. ივანე ჯავახიშვილის დიდი დამსახურებაა ის, რომ მან საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ქართველოლოგიის მიმართულების დიდ სკოლას, არამედ ყველა იმ დარგს, რომელიც უნივერსიტეტში ისწავლება“, – აღნიშნა მან.

თსუ-ში მულტიმედია ცენტრი გაიხსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომავალი ჟურნალისტებისთვის მულტიმედია ცენტრი გაიხსნა. აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით შექმნილი ცენტრი თსუ სტუდენტებს საინტერესო იდეების განხორციელების საშუალებას მისცემს და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებაშიც დაეხმარება.

მულტიმედია ცენტრის გახსნის ცერემონიას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აშშ-ს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, სტუდენტები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით და არის ჩვენი და აშშ-ის საელჩოს ერთობლივი პროდუქტი. რომ არა მათი ძალისხმევა, ეს ცენტრი ვერ შეიქმნებოდა. ეს კი აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენმა სტუდენტებმა უნივერსიტეტში სრულფასოვანი

გაგრძელება მე-3 გვ.

მსოფლიოს უნივერსიტეტებში სწავლების შესაძლებლობები თსუ სტუდენტებისთვის

„იმედია გახსოვართ, შარშან თსუ-ს გაცვლითი პროგრამით ვიყავი ჩეხეთში, - მაზარაკის უნივერსიტეტში. დიდი ხანია მინდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერ ვახერხებ მოსვლას... უბრალოდ მადლიერება მინდოდა გამომეხატა იმ შანსისთვის და შესაძლებლობისთვის, რაც თქვენ მოგვეცით, უნივერსიტეტმა მოგვცა. ზუსტად ერთი წლის წინ ამ დროს ჩეხეთში ვიყავი. კიდევ უფრო და უფრო ვაანალიზებ, დროთა განმავლობაში, თუ რამდენი რამ შეცვალა ამ ექვსმა თვემ ჩემს ცხოვრებაში. ჩემი დამოკიდებულება ცხოვრების, საზოგადოების, ქვეყნის მიმართ. გაორმაგდა ჩემი მოტივაცია სწავლის მხრივ, გასამმაგდა ჩემი თავდაჯერებულობა. საერთოდ მივხვდი იმას, რომ ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია და შემიძლია ყველაფერს მივაღწიო თუ ამას მოვინდომებ და საკუთარ თავზე ვიმუშავებ... მიიღეთ ეს ყველაფერი როგორც იმ სტუდენტის წერილი, რომელიც უბრალოდ აფასებს და აანალიზებს ყველაფერს, რისი შესაძლებლობაც მიეცა ამ ცხოვრებაში.”

ეს იმ წერილის ფრაგმენტია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტის მარიამ თავდგირიძისგან მიიღო. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იგი ჩეხეთის ქალაქ ბრნოს მაზარაკის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის კიდევ სამ სტუდენტთან თამარ კობიაშვილთან, სოფო ოტიაშვილსა და მარიამ კუტალაძესთან ერთად იმყოფებოდა. თითოეულმა მათგანმა გაცვლითი პროგრამისთვის სავალდებულო ტესტირება, რომელიც ინგლისური ენის გარდა საგამოცდო კომისიის წევრებთან გასაუბრებასაც გულისხმობდა, წარმატებით გაიარა.

გაგრძელება მე-3 გვ.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები ცნობილია

შემოდგომის ლეგენდა – 2013

20 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2013“-ის გამარჯვებულთა დაჯილდოების საღამო გაიმართა.

ჟიურის წევრების მიერ შერჩეული სამი საუკეთესო მოთხრობის ავტორი 23 ოქტომბერს კახეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში გამართული იმპროვიზაციული ტურის თორმეტი მონაწილიდან გამოვლინდა. ტურზე მონაწილეებს შესთავაზეს 8 საათის განმავლობაში შეექმნათ ნაშრომი თემაზე „28-ე“.

ჭავჭავაძეების სასახლე, სადაც კონკურსის მეორე ტური ჩატარდა, ამ დროისთვის ევროკავშირისა და ჩინეთის ეგიდით ორგანიზებულ გამოფენას – „დიალოგი ცინთან“ მასპინძლობდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ევროკავშირის ქვეყნების ცნობილი მოქანდაკეების

გაგრძელება მე-3 გვ.

95 იარე ჩვენთან ერთად

თსუ რექტორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების საკითხის განხილვას ითხოვს

გვ. 2

თსუ სტუდენტების ახალი პროექტი

სტუდენტებმა იმ ტექნიკის შეძენა შესძლეს, რაც უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ სტუდენტებს სამომავლოდ თსუ-ში სწავლას და საზოგადოებაში ადაპტირებას გაუადვილებს. დღეისათვის თსუ ბიბლიოთეკაში უკვე დაინსტალირებულია 4 კომპიუტერი, რომელიც შესაბამისი პროგრამებით და ბრაილის პრინტერით არის აღჭურვილი, აქვს ხმოვანი კალკულატორი. უახლოეს პერიოდში კი აქვე დაიდგმება სპეციალური სკანერი, რომელიც წიგნს ხმამაღლა კითხულობს.

გვ. 3

ჟურნალი „მათემატიკა“ – მათემატიკის პოპულარიზაციისთვის

გვ. 2

დიდი ირანული პოემის ქართული თარგმანი

სულ ცოტა ხნის წინ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ფილოლოგიის დოქტორმა გიორგი ლობჟანიძემ დიდი სპარსელი პოეტის ჯალალ ედდინ რუმის ცნობილი პოემის “არსთა მესნევის” პირველი ნაწილის თარგმანზე დაასრულა მუშაობა. ეს პოემა მეცნიერის განმარტებით, სუფიზმის (რელიგიური მიმართულება) ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს და მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი, თუმცა, აქამდე ქართულად მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების მოძიება იყო შესაძლებელი.

გვ. 4

სიახლეები

თსუ რექტორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების საკითხის განხილვას ითხოვს

15 ნოემბერს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო განათლებისა და მეცნიერების მთავარი საყრდენი, საზოგადოებრივი ცხოვრების ტონის მიმცემი. ამიტომ თსუ საზოგადოების მხრიდან ყოველთვის მაღალი ყურადღებისა და ინტერესის სფერია. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერების განვითარებისადმი მცდარმა დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობას. კერძოდ, თსუ-სთვის გადმოცემული 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან უმეტესობა შენობა-ნაგებობების გარეშე დარჩა: ნაწილი შენობებისა უკვე გასხვისებულია, მეორე ნაწილის თსუ-სთვის გადმოცემა კი, რატომღაც, ფერხდება. გასათვალისწინებელია ამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე მეცნიერ-თანამშრომელთა სტრესული მდგომარეობა. შეუსაბამო შენობისა და ინფრასტრუქტურის გამო, სამეცნიერო საქმიანობა და კვლევები სრულყოფილად ვერ ხორციელდება. იმის მიუხედავად, რომ უნივერსიტეტმა შეძლებისდაგვარად მოახერხა შენობების გარეშე დარჩენილი ინსტიტუტების სხვა კორპუსებში გადანაწილება, მათი მდგომარეობა მაინც მძიმეა. პრივატიზების შედეგად შენობები ჩამოერთვა ისეთ კვლევით დაწესებულებებს, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის საქმიანობას ეწეოდა. მათ შორისაა: ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი. სამწუხაროდ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო ფერხდება პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ძირითადი კორპუსების გადმოცემის საკითხი. გაურკვეველია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბედი. დღის წესრიგში დგას თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სასწავლო-კვლევითი დანიშნულების დაწესებულების – ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო ლაბორატორიის საკითხი. ამ ლაბორატორიაში სერიოზულ კვლევებთან ერთად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. მივმართავ საქართველოს მთავრობას, რომ უმოკლეს ვადაში განიხილოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების საკითხი, გაითვალისწინოს, როგორც ამ ინსტიტუტების, ასევე მეცნიერ-თანამშრომლების ბედი. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და არ გაიმეორებს ადრე დაშვებულ შეცდომებს.“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ასევე განცხადებით გამოეხმაურა რექტორის მიმართვას. სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს საკითხი განხილვის პროცესშია და აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უნივერსიტეტისთვის იმ შენობების გადაცემის თაობაზე, რომლებშიც განთავსებულია ან განთავსებული იყო სხვადასხვა კვლევითი დაწესებულებები. „ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ საქართველოს მთავრობას სურს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარებას, ამიტომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოხდება როგორც სახელმწიფოს, ისე უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ჯერჯერობით ახალი ოფიციალური გადაწყვეტილება სამეცნიერო ინსტიტუტების შენობებთან დაკავშირებით არ არის.

სტუდენტების შეხვედრა თსუ რექტორთან

13 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ფაკულტეტის დეკანები და თსუ-ს აღმინისტრაციის წარმომადგენლები სტუდენტებს შეხვდნენ. სტუდენტებმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ სასწავლო პროცესის მანძილზე აქვთ. კითხვები შეეხებოდა სასწავლო ბაზებს, სახელმძღვანელოებს, საგამოცდო პროცესებს, თვითმართველობის საქმიანობასა და სხვა საკითხებს. სტუდენტებმა რამდენიმე საინტერესო ინიციატივა გააცნეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. შემდეგი შეხვედრა სტუდენტებთან 2014 წლის დასაწყისში დაიგეგმა.

„EU ChemLab პროექტის იმპლემენტაცია საქართველოში“

7 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „EU ChemLab პროექტის იმპლემენტაცია საქართველოში“ დასკვნითი შეხვედრა გაიმართა. ქართველმა და ევროპელმა პარტნიორებმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) კერძო სექტორის განვითარების პროგრამების წარმომადგენლებმა, პროექტის პარტნიორმა ქართული კომპანიის წარმომადგენლებმა საზოგადოებას მიაწოდეს პროექტის პროგრესის შესახებ ინფორმაცია.

გერმანული ქიმიური ლაბორანტის დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდელზე ქიმიური ლაბორატორიის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა-განხორციელება ქართულ კომპანიებთან და ევროპელ პატნიორებთან (EU ChemLab II* პროექტი, რომლის ლიდერია მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი) ერთად გახლავთ პროექტის ერთ-ერთი მიზანი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP) და შპს „ღვინის ლაბორატორია“ „EU ChemLab პროექტის იმპლემენტირება საქართველოში“ ფარგლებში შექმნილი სასერტიფიკატო კურსის “ქიმიური ლაბორატორიის ტექნიკოსი”-ს ფარგლებში ერთობლივ ტრენინგებს უკვე ახორციელებენ ხოლო სპეციალიზირებული ECVET** მოდულის, “გენმოდიფიცირებული პროდუქტების ანალიზი” პრაქტიკული ტრენინგები ამჟამადაც მიმდინარეობს უნივერსიტეტში.

სექტემბერში ევროპული ტრენინგ ფონდის (ETF) საერთაშორისო ექსპერტთა შეხვედრაზე (ტურინი, იტალია) პროექტი წარმოდგენილი იქნა როგორც სამუშაო ადგილზე დაფუძნებული სწავლების (WBL) ერთ-ერთი განხორციელებადი მოდელი.

თსუ-ში მულტიმედია ცენტრი გაიხსნა

პირველი გვერდიდან

განათლების მიღება შეძლონ, რათა ჩამოყალიბდნენ ისეთ ჟურნალისტებად, რომლებიც ჩვენს მედიასივრცეს გამოადგება.”

„თსუ-ში გახსნილი მედიაცენტრი სტუდენტებს ცოდნის ამაღლებაში შეუწყობს ხელს. პროფესიონალური და თავისუფალი მედია ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია. მულტიმედია ცენტრის დაფინანსებით აშშ-ის საელჩო შეეცადა, ხელი შეეწყო მომავალი ჟურნალისტების უნარ-ჩვევების ამაღლებისთვის. ჩვენი მიზანი იყო, მომავალ ჟურნალისტებს ჰქონოდათ ისეთი ცენტრი, სადაც ტექნოლოგიურად მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოებას შეძლებდნენ, ეს პროდუქტი კი ამავდროულად გარკვეულ წვლილს შეიტანდა საზოგადოებრივი დისკუსიის განვითარებაში. აღნიშნული მედიაცენტრის გახსნის მხარდაჭერით ჩვენ გარკვეული წვლილი შევიტანეთ ჟურნალისტების განათლების განვითარების საქმეში“, – აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

მეტი დეტალის გასაგებად თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს მივაკითხეთ, სადაც მულტიმედია ცენტრი ამოქმედდა.

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ გერსამია პირველ რიგში მადლობას უხდის აშშ საელჩოს, ჟურნალისტური განათლების ხარისხის ასამაღლებლად გაწეული დიდი დახმარებისთვის და აქვე მულტიმედია ცენტრის სამომავლო მიზნებზე საუბრობს:

„ჩვენი მიზანია რომ სტუდენტებმა მაქსიმალურად შეძლონ თავისი პოტენციალის გამოვლენა და ახალი უნარების გამომუშავება ამ ცენტრში.

იმედია უნივერსიტეტი მისცემს სტუდენტებს შესაძლებლობას, რომ ამ ცენტრის მმართველობა და გაძღოლა თავად მათ ითავონ. ჩვენი მთავარი იდეაა, რომ ამ ცენტრის მამოძრავებელი ძალა იყვნენ სტუდენტები, ისინი აქ დაეუფლონ მედიამენეჯმენტსაც, „ნიუსის“ კეთებასაც და ყველა იმ საფეხურს პრაქტიკაში, რისი გამოყენებაც ტელევიზიაში მომავალში მოუწევთ.

ლექტორები აქ შეასრულებენ ინსტრუქტორების როლს, თუმცა თავად ცენტრი სტუდენტების იქნება. მათ უამრავი იდეა აქვთ და გვინდა ეს ადგილი მათი იდეების განხორციელების პლატფორმად იქცეს. ამჟამად „დოიჩე ველე“ ტრენერების ტრენინგს უტარებს თსუ პროფესორებს, რათა მათ უკეთ შეძლონ სტუდენტებისთვის მულტიმედია პლატფორმების სწავლება.

მე იმედი მაქვს, რომ თსუ ხელმძღვანელობა მაქსიმალურ მხარდაჭერას გაუწევს სტუდენტებს ამ საქმეში“.

თსუ მულტიმედია ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე განსახორციელებელი პროექტის შესახებ საუბრობს და ამბობს, რომ ეს ცენტრი მას, როგორც ლექტორს, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმარება: „ცენტრი ახორციელებს პროექტს “სტუდენტთა ტრეინინგისთვის“, რომელიც ამერიკის საელჩომ დააფინანსა. შევიძინეთ სრულყოფილი სატელევიზიო სტუდია, განათების თანამედროვე სისტემა, სარეჟისორო აპარატურის მოწყობილობა, „ნიუსრუმისთვის“ ახალი კომპიუტერული ტექნიკა, სამონტაჟოები. ასევე შევქმენით ვებ-გვერდი მულტიმედია ცენტრისთვის, სადაც კონვერგირებული მედია პროდუქცია დაიდება. გვაქვს ინტერნეტ-ტელევიზია და რადიო. საჭიროების შემთხვევაში საშუალება გვაქვს პირდაპირი ეთერიც შევთავაზოთ საზოგადოებას. ცენტრი ფაკულტეტთან ერთად ჩაერთვება მულტიმედიური სწავლების გაუმჯობესებაში, პრაქტიკული სწავლების დონის ამაღლებაში. მე ვარ ასოცირებული პროფესორი და ვასწავლი სატელევიზიო მედიას და ეს პროექტი საშუალებას მაძლევს მაღალი ხარისხის სწავლება შევთავაზო სტუდენტებს და მათი ჩართულობა გავზარდო“.

მულტიმედია ცენტრის შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვება და სტუდენტების მიერ ამ ცენტრში შექმნილი მედია-პროდუქციის ნახვა დაინტერესებულ საზოგადოებას საიტზე: www.multimedia.tsu.ge შეუძლიათ.

ჟურნალი „მათემატიკა“ – მათემატიკის პოპულარიზაციისთვის

4 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი მათემატიკოსის, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

თსუ XI კორპუსში ვიქტორ კუპრაძის სახელობის აუდიტორია გაიხსნა, ღონისძიების ფარგლებში გაიმართა აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია. ასევე მოეწყო სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის – „მათემატიკა“ პრეზენტაცია.

ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა. ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილის განცხადებით, „ჟურნალის მიზანია მათემატიკის პოპულარიზაცია და იგი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის“.

თსუ-ში ვიქტორ კუპრაძის სახელობის აუდიტორია გაიხსნა. პირველი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მათემატიკა“ პრეზენტაცია სწორედ ვიქტორ კუპრაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებაზე გაიმართა.

„ჟურნალი წარმოაჩენს იმ ქართველ მეცნიერებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მათემატიკური სკოლების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ქართველი ავტორები მკითხველს პოპულარულ ენაზე მოუთხრობენ სერიოზული მათემატიკური პრობლემების შესახებ. უცხოელი ავტორების სტატიების თარგმანი გაამდიდრებს ქართულენოვან სამეცნიერო პოპულარულ ლიტერატურას. სწავლების მეთოდიკა საინტერესო იქნება მასწავლებლებისთვის და მათთვის, ვინც ამ საკითხით არის დაინტერესებული. ბევრი ახალგაზრდა სკოლაშივე დიდ ინტერესს იჩენს მათემატიკის მიმართ. ჟურნალი წარმოაჩენს წარმატებულ სკოლებს, მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს. ყოველ ნომერში დაიბეჭდება რამდენიმე საინტერესო ამოცანა, რომლის ამოხსნაც მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება. ჩვენი სტუდენტები და კურსდამთავრებულები ქართული მათემატიკის მდგრადი განვითარების საწინდარია. მათ შესახებ ჟურნალი სისტემატურად მიაწვდის ინფორმაციას მკითხველს. მათემატიკოსი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებში და, ცხადია, ჟურნალი სტუდენტური ცხოვრების არც ერთ მხარეს არ დატოვებს უყურადღებოდ. იმედი გვაქვს, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული კურიკულუმი მათემატიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს დეხმარება სამომავლო კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში“. – აღნიშნავს ჟურნალის შესავალ სიტყვაში პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი.

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე აცხადებს, რომ ეს იდეა ფაკულტეტზე უკვე ორი წელია არსებობს, თუმცა მისი განხორციელება წელს მოხერხდა და ეს არ იქნება ერთჯერადი აქტი. მისი განცხადებით ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოვა და მოემსახურება მათემატიკის პოპულარიზაციას საზოგადოებაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოსა და ავტორებს შორის არიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან: რამაზ ბოჭორიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, გრიგოლ სოხაძე, როლანდ ომანაძე, გია გიორგაძე, ილია თავხელიძე, თენგიზ კოპალიანი, ქეთევან შავგულიძე, თინათინ დავითაშვილი, ჯონდო შარიქაძე და სხვები.

მსოფლიოს უნივერსიტეტებში სწავლების შესაძლებლობები თსუ სტუდენტებისთვის

პირველი გვერდიდან

„იმედია გახსოვართ, შარშან თსუ-ს გაცვლითი პროგრამით ვიყავი ჩეხეთში, – მასარაკის უნივერსიტეტში. დიდი ხანია მინდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერ ვახერხებ მოსვლას... უბრალოდ მადლიერება მინდოდა გამომეხატა იმ შანსისთვის და შესაძლებლობისთვის, რაც თქვენ მოგვეცით, უნივერსიტეტმა მოგვცა. ზუსტად ერთი წლის წინ ამ დროს ჩეხეთში ვიყავი. კიდევ უფრო და უფრო ვაანალიზებ დროთა განმავლობაში თუ რამდენი რამ შეცვალა ამ ექვსმა თვემ ჩემს ცხოვრებაში. ჩემი დამოკიდებულება ცხოვრების, საზოგადოების, ქვეყნის მიმართ. გაორმაგდა ჩემი მოტივაცია სწავლის მხრივ, გასამმაგდა ჩემი თავდაჯერებულობა. საერთოდ მივხვდი იმას, რომ ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია და შემიძლია ყველაფერს მივაღწიო თუ ამას მოვინდომებ და საკუთარ თავზე ვიმუშავებ... მიიღეთ ეს ყველაფერი როგორც იმ სტუდენტის წერილი, რომელიც უბრალოდ აფასებს და აანალიზებს ყველაფერს, რისი შესაძლებლობაც მიეცა ამ ცხოვრებაში.”

ეს იმ წერილის ფრაგმენტია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტის მარიამ თავდგირიძისგან მიიღო. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იგი ჩეხეთის ქალაქ ბრნოს მასარაკის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის კიდევ სამ სტუდენტთან თამარ კობიაშვილთან, სოფო ოტიაშვილსა და მარიამ კუტალაძესთან ერთად იმყოფებოდა. თითოეულმა მათგანმა გაცვლითი პროგრამისთვის სავალდებულო ტესტირება, რომელიც ინგლისური ენის გარდა საგამოცდო კომისიის წევრებთან გასაუბრებასაც გულისხმობდა, წარმატებით გაიარა.

გაცვლითი პროგრამებით სწავლის შესაძლებლობის შესახებ, როგორც წესი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობა ჯერ კიდევ აბიტურიენტობის პერიოდიდან არის ინფორმირებული. ერთ-ერთი მათგანია ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი სალომე კაპანაძე, რომელმაც სასწავლო კურსი შარშან იტალიაში, სალერნოს უნივერისტეტში ექვსი თვის განმავლობაში გაიარა. სალერნოს უნივერსიტეტი სალომემ ძირითადად იტალიური ენის უფრო კარგად შესასწავლად შეარჩია. როგორც ამბობს, არ შემცდარა, რადგან ენის დონე საკმაოდ აიმაღლა, სწავლების საკმაოდ მოქნილი სისტემის გამო იქაური კრედიტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაბრუნებულს ჩვეულებრივად ჩაეთვალა. იგი დარწმუნებულია, რომ საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება მაგისტარტურაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამგვარი სწავლება როგორც ორმხრივი თანამშრომლობის, ისე ერასმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში 2006 წლიდან 2013 წლამდე 380-მდე სტუდენტმა გაიარა. ესენი არიან როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტები თსუ-ში არსებული ექვსივე ფაკულტეტიდან. განმარტებისათვის, ერასმუს მუნდუსი უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის და მობილობის პროგრამაა. იგი ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის დონის ამაღლებას და მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობას გულისხმობს – ხალხსა და კულტურებს შორის დიალოგის მიზნით.

იმ უმაღლეს სასწავლებელთა შორის, რომლებშიც თსუ სტუდენტები იმყოფებოდნენ, მასარაკის და სალერნოს უნივერსიტეტების გარდა არის: ტარტუს, ვილნიუსის, ზაარლანდის, ლატვიის, კაფოსკარის, თესალონკის, პერუჯას, გისენის, მერზებურგის, იენის, ანჟერის, მიუნხენის, ვარშავის, ბრატისლავას, ვიადრინას, ვიტაუტას მაგნუსის, გრაცის, ოსლოს, მონპელიეს, ჰელსინკის და სხვა უნივერსიტეტები.

2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში საზღვარგარეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 110-ზე მეტი სტუდენტი გაემგზავრება – ტურინის, ბრემინის, პავიას, ლილის და სხვა უნივერსიტეტებში. მომავალი წლის “ნაკადში” აღმოჩენილ სტუდენტთა შორის ერთ-ერთი ერეკლე ჩახვაშვილია. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის გეოგრაფი სტუდენტი ერთ სასწავლო სემესტრს ნორვეგიაში, ოსლოს საუნივერსიტეტო კოლეჯში გაატარებს. ერეკლე დარწმუნებულია, რომ ეს პერიოდი განათლების ამაღლების გარდა, მას ახალი კონტაქტების დამყარებასა და თვალსაწიერის გაფართოებაში დაეხმარება.

ცნობისათვის, გაცვლითი პროგრამების თუ ერასმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში უცხოეთში გამოცდილების მიღება თსუ სტუდენტების გარდა სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და მკვლევარებისთვისაც არის შესაძლებელი.

თსუ სტუდენტების ახალი პროექტი

უნივერსიტეტში მხედველობადაქვეითებულთა და უსანათლოთა ადაპტირებისთვის შესაბამისი გარემო იქმნება

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტს მხედველობადაქვეითებულთა დახმარების სურვილი სალექციო კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობა” მოსმენის შემდეგ გაუჩნდა. ამ ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების სტუდენტებმა, ამ საგნის გავლისას სხვადასხვა ჯგუფის საზოგადოებაში ადაპტაციის საკითხებზე იმსჯელეს. სწორედ ამ თემაზე გამართული დისკუსიისას დაინახეს მათ მთელი სიმწვავით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემები ამ კუთხით. როგორც ამბობენ, მდგომარეობის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად და ამ ხალხის დასახმარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც ამის შემდეგ გადაწყვიტეს. სტუდენტების მიერ დაახლოებით ორი წლის წინ გაჩენილ ამ ინიციატივას დღეისათვის უკვე რეალური შედეგი აქვს.

როგორც იდეის ავტორები, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ყარამან-გიორგი ბერიძე და იგივე ფაკულტეტის მესამეკურსელი ტატო პაპიაშვილი აცხადებენ, მეტი ეფექტის მისაღწევად აქცენტის გაკეთება მათ ერთ ჯგუფზე ამჯობინეს. „სამიზნედ“ მათ მიერ უსინათლო თუ მხედველობადაქვეითებული ახალგაზრდები შეირჩნენ. თავდაპირველად მათი ძიება თსუ-ს ფარგლებში დაიწყეს, თუმცა, სულ ორ მათგანს მიაკვლიეს. ყარამან-გიორგისა და მისი მეგობრებისთვის ეს საზოგადოებაში ადაპტაციის მხრივ უსინათლოთა წინაშე არსებული პრობლემების კიდევ ერთი დასტური აღმოჩნდა. ამის შემდეგ სტუდეტებმა უკვე თბილისში არსებულ უსინათლოთა სკოლის მოსწავლეებთან დაიწყეს შეხვედრები. როგორც ამბობენ, ამ სკოლის მე-9 მე-11 კლასის მოსწავლეების უმეტესობამ სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით სტუდენტებმა იმ ტექნიკის შეძენა შეძლეს, რაც უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ სტუდენტებს სამომავლოდ თსუ-ში სწავლას და საზოგადოებაში ადაპტირებას გაუადვილებს. დღეისათვის თსუ ბიბლიოთეკაში უკვე დაინსტალირებულია 4 კომპიუტერი, რომელიც შესაბამისი პროგრამებით და ბრაილის პრინტერით არის აღჭურვილი, აქვს ხმოვანი კალკულატორი. უახლოეს პერიოდში კი აქვე დაიდგმება სპეციალური სკანერი, რომელიც წიგნს ხმამაღლა კითხულობს.

თუმცა, თავისი სამიზნე ჯგუფის დასახმარებლად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები მხოლოდ შესაბამისი ტექნიკის შეძენით არ შემოფარგლულან. მათი ინიციატივით, თსუ პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული სკოლის უფროსკლასელთათვის სხვადასხვა თემატიკაზე საჯარო ლექციები გაიმართა. ბავშვებისათვის საინტერესო თემებზე ჩატარებული ამგვარი ლექციები, სტუდენტობის მსურველთა საზოგადოებაში ადაპტაციის ერთგვარი საშუალებაა იყო. გარდა ამისა, დაწყებულია მუშაობა ვებ-გვერდზე, რომელიც უსინათლოთა პრობლემებს მიეძღვნება. აქვე გახსნილ ფორუმზე ამ საკითხზე მსჯელობა ყველას და პირველ რიგში იმ ადამიანებს შეეძლებათ ვისთვისაც უსინათლოებთან დაკავშირებული პრობლემატიკა ძალზე მნიშვნელოვანია.

უახლოეს მომავალში უსინათლოთა საზოგადოებაში ადაპტაციის საკითხებით დაინტერესებული თსუ სტუდენტთა ჯგუფის მიერ სულ მცირე ორი ღონისძიება იგეგმება. საზოგადოების ამ საკითხისადმი ყურადღების მიქცევას ინიციატივის ავტორები კონფერიენციისა და ე.წ. ფლეშ-მობის საშუალებით შეეცდებიან.

სიახლეები

პროექტის „TSU School of Entrepreneurship“ პრეზენტაცია-სემინარი

7 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესტონური კომპანია BDA Consulting-ისა და თსუ-ს ერთობლივი პროექტის „TSU School of Entrepreneurship“ პრეზენტაცია-სემინარი გაიმართა.
ესტონური კომპანიის BDA Consulting-ის მხარდაჭერით 2013 წლის 7 ნოემბრიდან 8 თვის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდება ერთობლივი პროექტი „TSU School of Entrepreneurship“, რომელიც მიზნად ისახავს ტრენინგ-პროგრამების საშუალებით თსუ სტუდენტების მომზადებას მცირე ბიზნესის განსავითარებლად. პროექტში მონაწილე სტუდენტები უცხოელი ტუტორებისა და დარგობრივი ექსპერტების მენტორობით დაეუფლებიან მცირე ბიზნესის განვითარების უნარ-ჩვევებს და მიიღებენ სათანადო სერთიფიკატს. ამასთან, წარმატებული ბიზნეს-გეგმის ავტორები 10 დღით გაემგზავრებიან ესტონეთში, ხოლო გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით 2500 ლარის ოდენობით.

თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის

11 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამშრომლობის შესახებ ოთხმხრივი ხელშეკრულება გაფორმდა. თსუ რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორმა თინათინ კლდიაშვილმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის მიზანია თანამშრომლობა სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო, ასევე მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, კვლევისა და დაცვის სფეროებში. შეთანხმების მთავარ საგანს ქართული შრიფტის ლაბორატორიის შექმნა წარმოადგენს. ამ ეროვნული პროექტის განხორციელებისთვის მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები აერთიანებენ ძალებს, რათა გონივრულ დროში და შედეგიანად დასრულდეს საქმე, რომელიც ქართული შრიფტის, როგორც ეროვნული იდენტობის ნიშნის პროპაგანდას შეუწყობს ხელს.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და გამომცემლობებს შორის

13 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა „თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობასა“ და სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონს“ შორის. მემორანდუმს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობის ხელმძღვანელმა ნინო მელიქიშვილმა და სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონის“ დირექტორმა ნიკოლოზ კორტავამ მოაწერეს ხელი.ხელშეკრულების თანახმად, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა და სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“ უნივერსიტეტს გადასცემენ ყველა საინტერესო ახალი გამოცემის თითო ეგზემპლარს. თანამშრომლობის ფარგლებში უნივერსიტეტი დახმარებას გაუწევს გამომცემლობებს ახალი გამოცემების პრეზენტაციებისა და სპეციალური საუნივერსიტეტო ფასდაკლებებით გამოფენა-გაყიდვის ორგანიზებაში.

საინფორმაციო შეხვედრა ERASMUS MUNDUS-ის პროექტებთან დაკავშირებით

19 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევრების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის პროექტების WEBB, BACKIS, HERMES, EMBER კოორდინატორებთან ბოლონიის უნივერსიტეტის (იტალია) წარმომადგენელ ქალბატონ ლიჩია პროსერპიოს, მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) წარმომადგენელ ბატონ კოლინ ვოლეს, სევილიის უნივერსიტეტის წარმომადგენელ ბატონ სანტიაგო მელკონსა და ათენის უნივერსიტეტის წარმომადგენელ ქალბატონ ამალია მოსერთან. აღნიშნული პროექტების ფარგლებში 2013 წლიდან განხორციელდება გაცვლითი პროგრამები ევროპის 36 უნივერსიტეტში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის იმიტირებული პროცესი

2-3 ნოემბერს თსუ-ში არასამთავრობო ორგანიზაცია YES Georgia-ს ინიციატივით გაიმართა საერთაშორისო სისხლის სამართლის იმიტირებული პროცესი. პროექტი წარმოადგენს პოლონური MICC (Model International Criminal Court)-ის ქართულ ანალოგს და იგი საქართველოში პირველად გაიმართა. შესარჩევ ეტაპებში მონაწილეობდა საქართველოში ავტორიზებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის გუნდი; სულ დარეგისტრიდა 40-მდე გუნდი და 96 ინდივიდუალური აპლიკანტი, რომელთაგან შეირჩა 21 საუკეთესო გუნდი და აქედან 6 გადავიდა ფინალში. პროექტის გამარჯვებული გუნდის ოთხივე წევრი თსუ–ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია (ნანა აღლემაშვილი, ემელიანე კილაძე, მარიამ ბრეგაძე, ინა გრიგალაშვილი). გამარჯვებული მარტში გაემგზავრებიან პოლონეთში და საერთაშორისო იმიტირებულ პროცესში მიიღებენ მონაწილეობას. პროექტის მხარდამჭერი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამომცემლობა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, რომელმაც გამარჯვებულები საქართველოს კონსტიტუციისა და შრომის კოდექსის ქართული, ინგლისური და რუსული ეგზემპლიარებით დაჯილდოვა.

თსუ-ს პაატა ბურჭულაძე ეწვია

4 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ფონდების „ივანანა” და „ივერიისა” დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე ეწვია. პაატა ბურჭულაძე თსუ რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრა მახათას მთაზე მიმდინარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობას მიეძღვნა. შეხვედრის ორგანიზატორი და საინფორმაციო მხარდამჭერი იყო გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის” რედაქცია.

„ჰომეროსი და მისი მკითხველი“

4 ნოემბერს, თსუ-ში ევროკავშირის კულტურის კვირეულის ფარგლებში აკადემიკოსმა, პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა გამართა დისკუსია თემაზე „ჰომეროსი და მისი მკითხველი“.

მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის საფუძვლები და ავტოკეფალია

6 ნოემბერს თსუ-ის ბიბლიოთეკასთან არსებულ შემეცნებით კლუბში მორიგი საჯარო ლექცია გაიმართა. უნივერსიტეტის შუა საუკუნეების კვლევების მიმართულების დოქტორანტმა, მღვდელმა ილია ჭიღლაძემ წაიკითხა ლექცია: “მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის საფუძვლებისა და ავტოკეფალიის შესახებ”.

საპატრიარქოს გამომცემლობის 20 წლის იუბილე

7 ნოებერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება. მოეწყო საპატრიარქოს გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა.

სიახლეები

„რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1991-2013 წლებში“

7 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის შესწავლის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლის სტანისლავ პრიტჩინის საჯარო ლექცია „რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1991-2013 წლებში“. ლექციაზე სტანისლავ პრიტჩინმა ისაუბრა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების შიდა და გარე ფაქტორებზე, თეორიულ ასპექტებსა და პარადიგმებზე, რეგიონულ პრიორიტეტებზე.

„გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“

8 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენციის “გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები” საიუბილეო სხდომა. კონფერენცია გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავს მიეძღვნა.

„საქართველო და გერმანია სამომავლო ეკონომიკური რისკები და პერსპექტივები

13 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მრგვალი მაგიდა-დისკუსია „საქართველო და გერმანია სამომავლო ეკონომიკური რისკები და პერსპექტივები“. კომპანია „Robert Bosch“-ის რუსეთის და ამიერკავკასიის წარმომადგენლობის აღმასრულებელი დირექტორთან გერჰარდ პფაიფერთან და მის თანამშრომლებთან ერთად, დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლმა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღმინისტრაციმ, პროფესორებმა და სტუდენტებმა.

კონფერენცია „მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები“

15 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტმა გამართა კონფერენცია თემაზე: „მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები“.

კონფერენცია „მტკიცებითი სამართალი“

15 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა კონფერენცია თემაზე: „მტკიცებითი სამართალი“, რომელიც ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიამ საქართველოში, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით გამართა.

კონფერენციას დაესწრნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს პროკურატურის, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის, ნორვეგიის გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები, ადვოკატები და აკადემიური პერსონალი.

ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ორგანიზებით აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ექსპონატები: ექვთიმე თაყაიშვილის პირადი წერილები, ფოტოები, დოკუმენტები, მის მიერ გამოცემული წიგნები. ღონისძიებაზე თსუ მუზეუმში, საქართველოს ეროვნული არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო-დოკუმენტური მასალა გამოიფინა.

„შემოდგომის აკადემია“

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გერმანულენოვან სტუდენტებს უმასპინძლა, რომლებიც ბოშის ფონდის ხელშეწყობით თსუ-ში იმყოფებიან. მათ თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა მიესალმა. პროგრამის მონაწილეები კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად უნივერსიტეტს ეხმარებიან ინტერნაციონალურ საკითხებში, ასევე ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში. წელიწადში ორჯერ მათთვის იმართება „აკადემია“ და ეწყობა ტრენინგები.

პნევმონია და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები

19 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია „სასუნთქი სისტემების დაავადებები: პნევმონია და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები“. კონფერენცია ჩატარდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებული დღეების ფარგლებში.

აფხაზური და ოსური კულტურის დღე

3 ნოემბერს თსუ-ში აფხაზური და ოსური კულტურის დღესთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართა. პროექტი განხორციელდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, პარტნიორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, სამხრეთ ოსეთის დროებითი აღმინისტრაცია.

ევროკავშირის კულტურის კვირეული

4 ნოემბერს თსუ-ში ევროკავშირის კულტურის კვირეული გაიხსნა ღონისძიებით „ვისაუბროთ წიგნებზე“. ღონისძიების ოგანიზატორია ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან და კულტურის ინსტიტუტებთან ერთად. კვირეულის ფარგლებში თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში გაიმართა წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

„შემოდგომის ლეგენდა“ – 2013

პირველი გვერდიდან

მიერ შექმნილი 27 ნამუშევარი – მშვიდობიანი ჯარისკაცი. ჟიურის მიერ მონაწილეებისთვის მიერ მიცემული თემა „28-ე“ სტუდენტებს თავის შეხედულებისამებრ შეეძლოთ გაეშალათ.

გამარჯვებულები უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ფულადი პრემიითა და კომპანია „ჯეოსელის“ სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ბექა ადამაშვილს („XXVIII: წერტილი“) – 1000 ლარი და კონკურსის სიმბოლო, მეორე ადგილის მფლობელ ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ რატი წეროძეს („27-ზე მეტი“) – 700 და მესამე ადგილის მფლობელ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტ ანი ლაზვიაშვილს („წმინდა ატომი“) - კი 500 ლარი გადაეცათ. საღამოზე გამოვლინდა საიუბილეო წელთან დაკავშირებული ინიციატივის – ონლაინ ლიტერატურული მარათონის გამარჯვებულიც. იგი ამ დროისთვის ქუვეითში მცხოვრები შალვა კიკალიშვილი გახდა, ნაწარმოებისათვის “დღე 28-ე”. აფხაზეთის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოების ავტორი კომპანია “ჯეოსელის” მიერ დაჯილდოვდა.

კონკურსის III ადგილის მფლობელი, თსუ სტუდენტი ანი ლაზვიაშვილი

დაჯილდოების საღამოზე 5 წლის განმავლობაში კონკურსის გამარჯვებული ნაშრომებისგან შემდგარი საიუბილეო კრებულის პრეზენტაციაც გაიმართა, რომელიც ყველა სტუმარს საჩუქრად გადაეცა. სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ნიჭიერი თაობისთვის გზის გაკვალვაა.

გამარჯვებულები გამოავლინა ჟურიმ თანამედროვე ქართველი მწერლების: დავით ტურაშვილის, თეონა დოლენჯაშვილის, მაკა ღდოკონენის, გიორგი კეკელიძის, ეკა ტოგონიძის და დავით გორგილაძის შემადგენლობით.

„ყოველ „შემოდგომის ლეგენდას“ წინა წლებისგან თემა განასხვავებს. ვფიქრობ, რომ წლევანდელი დავალება შედარებით რთული, მაგრამ საინტერესო იყო. ლიტერატურის ისტორიას რომ გადავხედოთ, არა ერთი მაგალითი არსებობს, როდესაც სახვითი ხელოვნების ნიმუშების ზეგავლენითა თუ შთაგონებით მწერლები ნაწარმოებებს ქმნიდნენ. წელს “შემოდგომის ლეგენდის” გამარჯვებულ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ საუკეთესო მხრიდან წარმოეჩინათ საკუთარი უნარი თუ შესაძლებლობები. ამას მცირედმა ნაწილმა გაართვა თავი, თუმცა, ვინც ეს შეძლო, საუკეთესოდ მოახერხა. გამიხარდა, რომ შარშანდელმა აღმოჩენამ, რატი წეროძემ წელს იმედები არ გაგვიცრუა. ანი ლაზვიაშვილისგან ჯერ კიდევ შარშან ველოდით კარგ ნაწარმოებს. ვფიქრობ, რომ დიდი პოტენციალის მწერალია და მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ წინ აქვს. რაც შეეხება პირველ ადგილს, როგორც იტყვიან ხუთიანზე შეასრულა დავალება, თუმცა, ჩემთვის ლიტერატურული ნაწარმოები მეორე და მესამე ადგილზე გასულებისა უფროა”. – თვლის ჟიურის წევრი მაკა ღდოკონენი.

ჟიურის მეორე წევრის, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის აზრით, ისეთი ფორსმაჟორული სიტუაცია, როგორშიც კონკურსის მეორე ტური ჩატარდა, მომავალ მწერალს თავისი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალებას აძლევს და დამატებით ცენზს სძენს. ბავშვების ნაწილს, დამწყები მწერლების სტატუსით, აღრეც იცნობდა, დანარჩენებს კი “ლეგენდაზე” შექმნილი ნაწარმოების საშუალებით გაეცნო.

გასული წლის ლეგენდის გამარჯვებული დავით გორგილაძისათვის ჟიურის რიგებში ყოფნა სასიამოვნოზე მეტად საინტერესო იყო. მისთვის კონკურსანტებს შორის ყოფნა გაცილებით საინტერესო და შემოქმედებითი პროცესია. თავის თანატოლთა შემოქმედების შესაფასებლად მისი ასაკისა და გამოცდილების მქონე ადამიანისთვის ჟიურის წევრის სტატუსი გარკვეულწილად უხერხულად მიაჩნდა. მართალია, მისი აზრით, “ლიტერატურული ჟიური ყოველთვის სუბიექტურია და შეუძლებელია მხატვრული ტექსტის შეფასებისას ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ წელს ჟიურის პოზიციები „მეტნაკლებად“ ერთნაირი იყო“.

მწერალ თეონა დოლენჯაშვილის თქმით, ყოველ წელს ლეგენდაზე შექმნილ ნაწერებს რაღაც საერთო აქვს: თავისუფლება, მრავალფეროვნება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება შემდეგ საინტერესოდ განვითარდეს. წლევანდელ “ლეგენდაზე” კონკურსანტებს “საზღვრები საერთოდ გახსნილი ჰქონდათ, რის შედეგად 12 ძალზე სტილისტურად და ჟანრობრივად განსხვავებული ნაწარმოები შეიქმნა”. როგორც ამბობს, წელს უფრო მეტის მოლოდინი ჰქონდა, თუმცა, იქვე დასძინა, რომ ასეთი შეფასება ნამუშევრების წაკითხვის შემდეგ “ცხელ გულზე” გააკეთა, გარკვეული დროის შემდეგ კი, როცა ნამუშევრებს ხელახლა ეცნობა, როგორც წესი, უფრო კარგი შთაბეჭდილება რჩება. სამი საპრიზო ადგილის გამოვლენა ჟიურის არ გასჭირვებია. კონკურსზე ერთი ახალი სახის აღმოჩენაც კი კარგი შედეგია. მით უმეტეს – სამი-ოთხი გამართული ნაწერის” – ამბობს თეონა.

დიდი ირანული პოემის ქართული თარგმანი

სულ ცოტა ხნის წინ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ფილოლოგიის დოქტორმა გიორგი ლობჟანიძემ დიდი სპარსელი პოეტის ჯალალ ედდინ რუმის ცნობილი პოემის “არსთა მესნევის” პირველი ნაწილის თარგმანზე დაასრულა მუშაობა. ეს პოემა, მეცნიერის განმარტებით, სუფიზმის (რელიგიური მიმართულება) ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს და მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი, თუმცა, აქამდე ქართულად მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების მოძიება იყო შესაძლებელი.

„ნებისმიერი თარგმანი, ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი ფილოლოგიური შრომაა და ეს ისევე ღრმად უნდა ფასდებოდეს, როგორც კვლევა, მით უმეტეს, როდესაც ვლაპარაკობთ შუა საუკუნეების ძეგლების თარგმანზე აღმოსავლური ენებიდან. კონკრეტულად ეს პროექტი მე-14 საუკუნის დიდი სპარსელი პოეტის ჯალალ ედდინ რუმის „არსთა მესნევის“ ქართული თარგმანის დასაწყისს ეხება. „არსთა მესნევი“ ისეთი რანგის ნაწარმოებია, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი და ნებისმიერი ენა, რომელზეც იგი თარგმნილია, თავს იწონებს იმით, რომ აქვს ჯალალ ედდინ რუმის ეს დიდი პოემა. თვითონ „არსთა მესნევის“, როგორც ჩემს თარგმანში ჰქვია, მანამდე უწოდებდნენ „ზნეობრივ მესნევის. ეს პოემა სუფიზმის „ენციკლოპედიას“ წარმოადგენს. ისლამში რამდენიმე დიდი მიმართულება გამოიყოფა, ერთ-ერთი სუფიზმია – ისლამის მისტიკური მიმართულება და ერთ-ერთი წყარო, რაზეც ისლამური მისტიციზმი დგას, არის ჯალალ ედდინ რუმის „არსთა მესნევი“.– განმარტავს პროექტის ავტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, გიორგი ლობჟანიძე.

როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ”არსთა მესნევი” საკმაოდ რთული პოემაა, რომელიც 6 ნაწილისგან (დავთრისაგან) შედგება და გასაშიფრად ურთულესია. გიორგი ლობჟანიძემ ჯერჯერობით ამ პოემის პირველი წიგნი თარგმნა. ეს დავთარი მოცულობით საკმაოდ დიდია და გამოცემის შემდეგ თავისი კომენტარით და შესავალით 600-700 გვერდამდე იქნება. ამ ნაწარმოების თარგმნა აღმოსავლეთმცოდნე ლობჟანიძეს ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან სურდა. თუმცა, მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას გააცნობიერა, თუ რა სირთულესთან ჰქონდა საქმე.

„ნაწარმოების ძირითადი ნაწილი სპარსულია, მაგრამ თანაბრად კარგად უნდა ფლობდე სპარსულს და არაბულს. უნდა იცოდე ან დააზუსტო არა ერთი მუსლიმური რეალია და უნდა შეგეძლოს ტექსტის წაკითხვა. ცნობისათვის, არაბულის თავისებურება ის არის, რომ იწერება თანხმოვნებით, ხმოვნების გარეშე. ტექსტის რამდენიმენაირი წაკითხვა შეიძლება არსებობდეს და ხშირ შემთხვევაში როგორც რებუსი, ისე უნდა ამოხსნა, ანუ ეს ყველაფერი გარკვეულწილად მათემატიკურ დონეზე ხდება”. – აცხადებს გიორგი ლობჟანიძე.

პროექტი 2010 წელს დაიწყო. ამ სამი წლის განმავლობაში თანამშრომლობისათვის განსაკუთრებულ მადლობას გიორგი ლობჟანიძე თარგმნის რედაქტორს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ თეა შურღაიას უხდის, რომელიც მის ნათარგმნს სპარსულ ტექსტს უდარებდა და მართლაც მნიშვნელოვანი შენიშვნებსა და მოსაზრებებს უზიარებდა.

კვლევა ქართული ირანისტიკის ბაზაზე გაკეთდა, რომლის „ბუდე“, გიორგი ლობჟანიძის თქმით, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტია. თარგმანი მეცნიერს ირანში არსებულმა ჯალალ ედდინ რუმის საზოგადოებამ „შამსე თაბრიზმა” დაუფინანსა, რომელთანაც დაკავშირების გამო იგი უკვე ირანში საქართველოს ელჩის მოადგილეს ნიკოლოზ ნახუცრიშვილის ემადლიერება, რომელიც, ცნობისათვის, მანამდე თსუ-ს სპარსულის კათედრის გამგე იყო. ნაშრომი ირანში გამოიცემა. პირველი წიგნი წლის ბოლომდე გამოვა, რის მერეც გიორგი ლობჟანიძე უკვე მეორე წიგნზე მუშაობას შეუდგება.

ლობჟანიძის ნაშრომამდე ქართულად ამ პოემის მხოლოდ ფრაგმენტები არსებობდა. ადრინდელი ნამუშევრები უფრო ტექსტის მხატვრული თარგმანი გახლდათ, „ზნეობრივ მესნევის“ გიორგი ლობჟანიძისეული ვარიანტი კი მხატვრული ტექსტის ფილოლოგიურ, მეცნიერულ თარგმანს წარმოადგენს. როგორც გიორგი ლობჟანიძე აღნიშნავს მისი „მიზანი ზუსტი, მაგრამ ამავე დროს მკითხველზე ორიენტირებული სრული თარგმანის გაკეთება იყო. მართალია, თარგმანი სპეციალისტებზეა გათვლილი, მაგრამ მას უბრალოდ დაინტერესებული მკითხველიც წაიკითხავს“.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge